ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 2025 წლის 1 ოქტომბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიისა და სამსახურის დებულებების მოთხოვნათა შესაბამისად, საჯაროობის, სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობის, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპების დაცვით.

საანგარიშო პერიოდში ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურში განსახილველად და შესაბამისი რეაგირების მოხდენის მიზნით შემოსული არის 264 ერთეული წერილი სხვადასხვა უწყებებიდან და ფიზიკური პირებიდან. ყველა წერილი შესწავლილი და პასუხგაცემულია სამსახურის მიერ. მომზადდა მერის სამართლებრივი აქტების (ბრძანების) 129 პროექტი, 414 ერთეული გასაგზავნი წერილების პროექტები, ხოლო მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან გაგზავნილია 153 ერთეული წერილი.

2024 წლის 1 ოქტომბრიდან 2025 წლის 1 ოქტომბრამდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, მერიის მოთხოვნის საფუძველზე, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ, სახელმწიფო საკუთრებაში დარეგისტრირდა და შემდგომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა სოფელ ლაშეში მდებარე 36.04.33.330 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 563 კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაბა ხარაგაულში მდებარე 36.01.32.758 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 61 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 4 კვ.მ სატელევიზიო ანძის დანადგარით. აგრეთვე სარგებლობის უფლებით 5 წლის ვადით, მიზნობრივად გადმოცემულია სოლომონ მეფის მე-2 შესახვევში მდებარე 36.01.31.476 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6128 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

მიწის ნაკვეთი, რომელიც სარგებლობის უფლებით უნდა გადაეცეს ა(ა)ი.პ კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებას სატრანსპორტო და სასაწყობო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, ხოლო ინფრასტრუქტურის მოწყობის შემდგომ, ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს დაპირების თანახმად მუნიციპალიტეტს ფართი გადმოეცემა საკუთრებაში.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში პრივატიზების მიზნით დარეგისტრირდა 36.01.31.1998 საკადასტრო კოდით დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N84ა მიმდებარე 70 კვ.მ, 36.01.31.1999 საკადასტრო კოდით დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N 8 მიმდებარე 14 კვ.მ და სოფელ სხლითში 36.14.35.103 საკადასტრო კოდით 117 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, აგრეთვე 36.01.31.492 საკადასტრო კოდით დარეგისტრირდა დაბა ხარაგაულში მდებარე 58 კვ.მ და სოფელ ბორითში მდებარე 36.03.41.762 საკადასტრო კოდით 30 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებზეც განთავსებული არის საინფორმაციო (სარეკლამო) დაფები.

საანგარიშო პერიოდში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 9 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 12 296 კვ.მ-ს, აქედან სკვერისათვის გამოყენებულია სოფელ ნებოძირში მდებარე 36.17.31.777 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 662 კვ.მ ფართი, სოფელ ბორითში მდებარე 36.03.40.688 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 860 კვ.მ ფართი, სოფელ სარგვეშში წყაროს მოწყობის მიზნით 36.07.34.382 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 65 კვ.მ ფართი, ხოლო სოფელ ზარანში მდებარე 36.14.33.126 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 2424 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მოეწყობა სპორტული მოედანი.

განხორციელდა დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტებით გათვალისწინებული უძრავი ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. საანგარიშო

პერიოდში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 9 ერთეული შიდა საუბნო გზა.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე მოწყობილი სპორტული მოედნების გამო განხორციელდა მიწის დანიშნულების მიზნობრივი ცვლილებები, კერძოდ: სოფელ თეთრაწყაროში მდებარე 36.10.39.316 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1488 კვ.მ მიწის ნაკვეთის, სოფელ ღარიხევში მდებარე 36.02.33.571 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1686 კვ.მ მიწის ნაკვეთის და სოფელ უბისაში მდებარე 36.03.44.778 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 948 კვ.მ მიწის ნაკვეთის.

სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მომართვის საფუძველზე განხორციელდა სოფელ ლახუნდარაში მდებარე 36.12.34.279 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1766 კვ.მ მიწის ნაკვეთის დაყოფა მათთვის 9 კვ. მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.12.34.345) სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს მომართვის საფუძველზე კი დაბა ხარაგაულში მდებარე 36.01.31.397 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 10161 კვ.მ ფართის დაყოფა, დაყოფის შედეგად 36.01.31.2005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 8 კვ.მ უძრავი ქონების შემდგომში გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე საკუთრებაში გადაცემის მიზნით, რომელზეც მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები, სოფელ მოლითში მდებარე 36.17.31.774 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 342 კვ.მ უძრავი ქონების დაყოფა.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინაშე თანხმობის მისაღებად დაყენებულია საკითხები და მიმდინარეობს საქმის წარმოება შემდეგი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისთვის: სოფელ ხევში მდებარე 17 კვ.მ და სოფელ ვერტყვიჭალაში მდებარე 67 კვ.მ ფართზე შემდგომში პრივატიზების მიზნით და დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებული 860კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, რომელზეც მოეწყო სკვერი.

უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით გაფორმდა უასასყიდლო უზუფრუქტის 9 ხელშეკრულება, რომლებიც რეგისტრირებული იქნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 3 იჯარის ხელშეკრულება, მათ შორის 1 ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო 2 პირდაპირი განკარგვის წესით, ვადის გაგრძელების მიზნით ცვლილება შევიდა 2 ხელშეკრულებაში. დღეის მდგომარეობით სულ გაფორმებული არის 15 იჯარის ხელშეკრულება, საიდანაც საანგარიშო პერიოდში იჯარის ქირა შემოსული არის 78 225 ლარი. იჯარის ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში მოიჯარეებს ეგზავნებათ წერილები გადაუხდელი ქირის გადახდის მიზნით.

სამსახური მუნიციპალიტეტის მერიაში იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან შემოსული წერილების საფუძველზე, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული თუ დასარეგისტრირებელი უძრავი ქონების განკარგვას ,,ქონების მართვის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ, მერის წარმომადგენლების დახმარებით ახდენს მოკვლევას და შესწავლას ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის შესახებ და წერილობით ინფორმაციას აწვდის იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციას. საანგარიშო პერიოდში შესწავლა და მოკვლევა მოხდა 8 წერილზე, რომელიც ეხებოდა 24 ერთეული მიწის ნაკვეთის განკარგვის საკითხს .

სამსახური ასევე ამზადებს აუქციონის მასალებს და ვებ.გვერდზე www.eauction.ge აცხადებს ელექტრონულ აუქციონს, საანგარიშო პერიოდში ქონების პრივატიზებაზე გამოცხადდა 1 ელექტრონული აუქციონი, რომლის საფუძველზეც გაიყიდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 36.01.31.1999 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქუჩა N8ბ-ს მიმდებარედ 14 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის პრივატიზების თანხამ შეადგინა 2200 ლარი.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 12 ერთეულ უძრავ-მოძრავი ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით მომზადდა საექსპერტო/აუდიტორული დასკვნები, რაზეც გამოცხადდება ელექტრონული აუქციონი.

სამსახურის მიერ მომზადდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ საკრებულოს დადგენილების პროექტი, ხოლო ეკონომიკის განყოფილების ხელმძღვანელობით შემუშავებული იქნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების განახლებული გეგმის პროექტი, რომელიც დამტკიცდა საკრებულოს მიერ.

სამსახურს კომუნიკაცია აქვს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მომრავლებულ გარეულ ცხოველთა რეგულაციის თაობაზე. აღნიშნულ საკითხზე გამოცემული იყო მინისტრის ბრძანება, რომლითაც გასაზღვრული იყო ცხოველთა იმ სახეობის ჩამონათვალი, რომელთა ამოღებაც შესაძლებელი იყო სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, გარეულ ცხოველთა გარემოდან ამოღების მიზნით შეიქმნა ფიზიკურ პირთა (40 მონადირე) ჯგუფი და გაფორმდა მათთან ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც მოხდა გარემოდან 2 ინდივიდი მგლის ამოღება. ამ ბრძანების მოქმედების ვადად განსაზღვრული იყო მიმდინარე წლის 13 ოქტომბერი, რის გამოც სამინისტროში გავაგზავნეთ თხოვნა ბრძანების მოქმედების ვადის კიდევ ერთი წლით გაგრძელების თაობაზე.

გარემოს ეროვნული სააგენტო, ყოველ სამ დღეში ერთხელ აგზავნის პროგნოზს მოსალოდნელი ამინდის და სტიქიური მოვლენების შესახებ და საფრთხის არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაციას გავრცელების მიზნით ვაწვდით, როგორც მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას ასევე მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სამსახურის ინიციატივით საანგარიშო პერიოდში ერთჯერ გაიმართა დასუფთავების აქცია, რომელშიც ჩაერთნენ მერიის საჯარო მოსამსახურეები და ა(ა)იპ ,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ თანამშრომლები.

მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებით დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების სამსახურთან შეთანხმებით ვახდენთ იმ იურიდიული პირების მოკვლევას, რომლებიც წარმოქმნიან ნარჩენს, მიეწოდებათ დასუფთავების სერვისი და მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავირებით ვუფორმებთ დასუფთავების ხელშეკრულებებს. რიგი იურიდიული პირების მოთხოვნის საფუძველზე ხდება მიღება_ჩაბარების აქტების პროექტების მომზადება, გაფორმება და დაგზავნა, რომლის საფუძველზეც იხდიან დასუფთავების გადასახადს. დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანების არსებობის შემთხვევაში მოვალე პირს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება გაფრთხილება. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებელი შემოსულია 75975 ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას“ საკუთრებაში გადაეცა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემული საახალწლო ილუმინაციები, ღირებულებით 87175 ლარი და სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს მიერ საკუთრებაში გადმოცემული საახალწლო მანათობლები, ღირებულებით 10750 ლარი, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“-ს სოფელ კიცხის ახალ აშენებული საბავშვო ბაღისათვის შესყიდული სხვა და სხვა სახის ავეჯი, ღირებულებით 44 600 ლარი და სოფელ საღანძილეში საბავშვო ბაღში არსებული მოძრავი ქონება, ღირებულებით 4929 ლარი.

სამსახურის თანამშრომლები ასევე ჩართული არიან სხვადასხვა კომისიების მუშაობაში, კერძოდ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის,

შეჩერებისა და აღდგენის შესახებ მუდმივმოქმედი საბჭოს ხელმძღვანელობს სამსახურის ხელმძღვანელი, საანგარიშო პერიოდში შემოვიდა და დამუშავდა 28 განცხადება სტატუსის მინიჭებაზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების ფაქტობრივად ცხოვრების მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის მიერ შედგენილი 260 ოქმი და 260 დასკვნა, ასევე მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით შექმნილ კომისიას ხელმძღვანელობს სამსახურის ხელმძღვანელი, ხოლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე არის სამსახურის ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების ხელმძღვანელი, კომისიის მიერ მოხდა მუნიციპალიტეტის 19 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლებში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების აღწერა, ამ დროისთვის კი მიმდინარეობს დაბაში არსებული ქონების აღწერაზე მუშაობა, ხოლო კომისიის დასკვნა წარმოდგენილი იქნება უახლოეს პერიოდში. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სტიქიის შედეგად დაზარალებული ან/და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა განცხადებების შესწავლის მიზნით მუდმივ მოქმედი კომისიის“ მუშაობაში, როგორც კომისიის წევრი მონაწილეობას ღებულობდა ეკონომიკის განყოფილების უფროსი, ასევე სამსახურის ეკონომიკის განყოფილების ხელმძღვანელი მონიტორინგს და კონტროლს უწევდა 2024 წლის 4 დეკემბერს გაფორმებული N1 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმწოდებლის მიერ განსახორციელებელ მომსახურებაზე, კერძოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების სკოლებში მიყვანისა და უკან წამოყვანის პროცესს, რომლის შესრულებაზე ინფორმაცია მიეწოდება დაწესებულების ხელმძღვანელს ყოველი თვის ბოლოს.

სამსახური აქტიურად ვთანამშრომლობთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხების კომისიასთან.